„ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების“
ფორმა №1

განაცხადი

სამეცნიერო ხელმძღვანელობისა და სადოქტორო კვლევითი პროექტის შესახებ

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა: **ფილოლოგია**

1. ინფორმაცია სამეცნიერო ხელმძღვანელის შესახებ

1.1. სახელი და გვარი - **მაია ბარამიძე**
1.2. აკადემიური/სამეცნიერო თანამდებობა ან ემერიტუსის წოდება - **პროფესორი**
1.3. ბოლო სამი წლის განმავლობაში შესაბამისი (სადოქტორო ნაშრომის ზოგადი თემატიკის) **დარგის/მიმართულების** Web of Science (Clarivate Analytics), Scopus და ERIH PLUS (European Reference Index of the Humanities) (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) ბაზებში ინდექსირებულ რეფერირებად/რეცენზირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი:

	სამეცნიერო ნაშრომის დასახელება	წელი	ჟურნალი, ტომი, გვერდი, ელ. მისამართი	დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	სამეცნიერო ბაზის დასახელება	თანაავტორი	შენიშვნა
1	რევაზ ინანიშვილის ლექსიკის ზოგი თავისებურება	2023	ენა და კულტურა, VIII, გვ.50-54 https://journals.4science.ge/index.php/enadakultura/article/view/1772	https://doi.org/10.52340/lac.2023.08.10	Google Scholar		
2	კირნათ-მარადიდული ლექსიკა თურქეთის კლარჯულ ლექსიკასთან მიმართებით	2023	ქართველური მემკვიდრეობა, XXVII, გვ. 45-54 https://ejournals.atsu.ge/Kartvelology/index.php?dir=issues&page=Issue&issueID=27&lng=Ge https://ejournals.atsu.ge/Kartvelology/issues/XXVII/BaramidzeMaia.pdf	ISSN 1512-09-53 DOI 10.52340/PUTK.2023.27.06	ERIH PLUS	მამია ფაღავა	
3	ტოპონიმთა სუფიქსური წარმოების რამდენიმე შემთხვევა კლარჯეთიდან	2023	კულტურათშორისი დიალოგები, VII, გვ.267-275, https://journals.4science.ge/index.php/IDW	ISSN: 2233-3401; E-ISSN: 2667-999X; Doi: https://doi.org/10.52340/idw.2023.39	ERIH PLUS	მამია ფაღავა	

4	მწკრივთა წარმოება კლარჯულში	2023	რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, XLIII, გვ.11-18 https://ice.tsu.ge/wp-content/uploads/2024/1	978-9941-13-	ქართველოლოგია		
5	მომავალი დროის გამოხატვა სამხრულ კილოებში	2024	რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, XLIV, გვ.18-25 https://ice.tsu.ge/?page_id=257	978-9941-13-	ქართველოლოგია	მამია ფაღავა	
6	ზოგიერთი ლექსიკური ერთეულისათვის სამხრულ კილოებში	2025	ფილოლოგიური კვლევები, 10, გვ.184-191 http://www.sciencejournals.ge/index.php/NJ/index	ISSN 2667-9612 http://www.sciencejournals.ge/index.php/NJ/article/view/721/653	ERIH PLUS		
7	ლექსიკური შეხვედრები V-XVIII ს.ს. სამწერლობო ქართულსა და სამხრულ დიალექტებში	2025	კულტურათშორისი დიალოგები, VIII, გვ.184-189, https://journals.4science.ge/index.php/IDW	ISSN: 2233-3401; E-ISSN: 2667-999X; https://doi.org/10.52340/idw.2025.26	ERIH PLUS		
8	ანთროპოტოპონიმები სპერიდან	2025	სამეცნიერო შრომების კრებული - თესაუ, 1(38), 2025, გვ.60-69 https://journals.4science.ge/index.php/TUW/article/view/4452	E-ISSN: 2667-9949 ISSN: 1512-0600 https://doi.org/10.52340/tuw.2025.38.01.08	ERIH PLUS	მამია ფაღავა	
9	,,ალვის ხე“ „ვეფხიტყაოსნის“ ორიგინალ ტექსტსა და პოემის თურქულ თარგმანში	2026	RumeliDE Dil ve Edebiyat Araştırmaları Dergisi, 50, გვ. 147-163 https://www.rumelide.com/dergi/arsiv/rumelide-2026-50--february.html	ISSN: 2148-9599 https://zenodo.org/records/18542751	ERIH PLUS	ნონა ნიქაბაძე, ლილე თანდილავა	

1.4. ბოლო ათი წლის განმავლობაში სამეცნიერო საგრანტო პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით მონაწილეობა:

	სამეცნიერო პროექტის სახელწოდება	პროექტის დაწყებისა და დასრულების თარიღი	სტატუსი პროექტში	დამფინანსებელი ორგანიზაცია	ელექტრონული მისამართი	პროექტში ჩართული პირები	შენიშვნა

1	ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლები თანამედროვე თურქეთში - I	2016 წ. აგვისტო-დეკემბერი	პროექტის ძირითადი შემსრულებელი	ბსუ	https://bsu.edu.ge/sub-42/page/7573/index.html	მამია ფაღავა, ზაზა შაშიკაძე, მალხაზ ჩოხარაძე, თინა შიოშვილი, ნუგზარ მგელაძე, მაია ბარამიძე, რუსლან ბარამიძე	
2	ტაო - ისტორიულ-ფილოლოგიური გამოკვლევა	2019-2023	პროექტის ძირითადი შემსრულებელი	რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი		მამია ფაღავა, მალხაზ ჩოხარაძე, ზაზა შაშიკაძე, მაია ბარამიძე, ჯემალ კარალიძე, ნუგზარ მგელაძე, მერაბ ხალვაში, თინა შიოშვილი, რამაზ ხალვაში	
3	იოანე სინელის ,,კლემაქსის" ქართული თარგმანები (გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი)	2023.06-2023.12	პროექტის ხელმძღვანელი, ძირითადი შემსრულებელი	რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი		მალხაზ ჩოხარაძე, რამაზ ხალვაში, მაია ბარამიძე	

1.5. სამეცნიერო ხელმძღვანელობის/თანახელმძღვანელობის გამოცდილება

	უსდ-ს დასახელება	სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სტუდენტის სახელი და გვარი	ნაშრომის სახელწოდება	წელი	შენიშვნა
1	ბსუ	ლინგვისტიკა	გურამ მარკოიძე	სიტყვაწარმოება სამხრულ კილოებში	დაიცვა 2019 წ.	
2	ბსუ	ლინგვისტიკა	ნონა ნიქაბაძე	,,ვეფხისტყაოსნის" თურქული თარგმანების კორპუსლინგვისტური და კრიტიკული ანალიზი	დაიცვა 2023 წ.	
3	ბსუ	ლინგვისტიკა	ვიოლა ხარაბაძე	გვარის ფორმათა წარმოებისა და უღვლილების თავისებურებანი საშუალ ქართულში	დამამთავრებელი 2026 წ. გაზაფხულზე გაივლის აპრობაციას	

1.6. რელევანტური ტრენინგი, სემინარი, პროფესიული განვითარების კურსი და სხვა.

	ღონისძიების ტიპი	ღონისძიების დასახელება	ორგანიზატორი	ჩატარებისთარიღი	ჩატარების ადგილი	შენიშვნა

1.7. ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან სამეცნიერო თანამშრომლობის გამოცდილება (ერთობლივი კვლევები/გრანტები/სამეცნიერო პროექტები)

_____
_____
_____

2. **ინფორმაცია სამეცნიერო თანახელმძღვანელის შესახებ** (არსებობის შემთხვევაში)

2.1. სახელი და გვარი ----------
2.2. აკადემიური/სამეცნიერო თანამდებობა ან ემერიტუსის წოდება ----------
2.3. ბოლო სამი წლის განმავლობაში შესაბამისი (სადოქტორო ნაშრომის ზოგადი თემატიკის) დარგის/მიმართულების Web of Science (Clarivate Analytics), Scopus და ERIH PLUS (European Reference Index of the Humanities) (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) ბაზებში ინდექსირებულ რეფერირებად/რეცენზირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი:

	სამეცნიერო ნაშრომის დასახელება	წელი	ჟურნალი, ტომი, გვერდი, ელ. მისამართი	დიგიტალური საიდენტიფიკაც იო კოდი DOI ან ISSN	სამცნიერო ბაზის დასახელება	თანაავტორი	შენიშვნა

2.4. ბოლო ათი წლის განმავლობაში სამეცნიერო საგრანტო პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით მონაწილეობა:

	სამეცნიერო პროექტის სახელწოდება	პროექტის დაწყებისა და დასრულების თრიღი	სტატუსი პროექტში	დამფინანსებელი ორგანიზაცია	ელექტრონული მისამართი	პროექტში ჩართული პირები	შენიშვნა

3. სადოქტორო კვლევითი პროექტის მოკლე აღწერილობა
3.1. კვლევითი პროექტის დასახელება - <u>„ნასახელარი ზმნები ქართულში“</u>
3.2. კვლევის სიახლე და აქტუალურობა

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „ზმნები, საზოგადოდ, ორგვარია: პირველადნი (verbs primaries) და მეორედნი (verbs secondaires). პირველადი - ეს ის ზმნაა, რომელიც პირველითგანვე ზმნა იყო და ზმნადვე დარჩა, ხოლო მეორედია, რომელიც პირველად სახელი იყო და მერმე ზმნად იქცა. პირველია წმინდა ზმნა, მეორე კი ნასახელარი (verbe denominatif)“ (ა. შანიძე).

ქართული ენის გრამატიკაში ნასახელარ ზმნებს განსაკუთრებული ადგილი უკავიათ. სახელური ძირებისაგან ახალ ზმნათა წარმოება ლექსიკური ფონდის გამდიდრების ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა.

ნასახელარი ზმნების წარმოება სიტყვათქმნადობის ნიმუშია. ენის ცვალებადობასთან ერთად ისინი გარკვეულ ცვლილებებს განიცდიან წარმოებისა თუ სემანტიკის მიხედვით.

ნასახელარ ზმნათა კლასიფიკაციაც ორი თვალსაზრისით უნდა წარმოებდეს: წარმოებისა და სემანტიკის.

ნასახელარი ზმნების შესახებ არაერთი სამეცნიერო ნაშრომი არსებობს (ა. შანიძე, ლ. კიკნაძე, ვ. თოფურია, ივ. ქავთარაძე, ბ. ჯორბენაძე, ნ. მუზაშვილი, ივ. და ვ. იმნაიშვილები, გ. გოგოლაშვილი, მ. ტუსკია, ნ. აბესაძე, დ. მელიქიშვილი და სხვ.).

ნასახელარი ზმნები პირველად საფუძვლიანად გააანალიზა ა. შანიძემ ნაშრომში ,,ნასახელარი ზმნები ქართულში'' (1919 წ.).

ლ. კიკნაძემ შეისწავლა ძირეული და ნასახელარი ზმნები ქართულში (1942 წ.). მეცნიერი გამოყოფდა სახელის ძირისა და სახელის ფუძისგან ნაწარმოებ ზმნებს და კაუზატიურ ზმნებსაც ნასახელარ ზმნებში აერთიანებდა.

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ ნასახელარ ზმნათა ჩამოყალიბების ძირითადი ტენდენციები უკვე ძველ ქართულში იჩენს რელიეფურად თავს (ნ. მუზაშვილი). XI-XII საუკუნეთა სამწერლობო ქართულში, კერძოდ, თარგმნილ სასულიერო და ფილოსოფიურ ნაშრომთა ენაში ნასახელარი ზმნების ასპარეზი საგრძნობლად ფართოვდება (მ. ტუსკია). ზმნების წარმოება არაზმნურ ძირთაგან იოანე პეტრიწის ენის ერთი ყველაზე დამახასიათებელი ნიშანია. ნასახელარი ზმნების ასე ფართოდ გამოყენება პირველად იოანე პეტრიწთან გვხვდება. ნასახელარი ზმნები თხრობას უფრო გამომხატველსა და დინამიკურს ხდის და აზრს სხარტად და ლაკონურად გადმოსცემს (დ. მელიქიშვილი).

არნ. ჩიქობავას მოსაზრებით, ნასახელარი ზმნების ფუძე ისტორიულად გაუდიფერენცირებელი უნდა ყოფილიყო. იგი ნეიტრალურ მონაცემს წარმოადგენდა, რომელიც შეიძლებოდა გამოეყენებინა სახელსაც და ზმნასაც (არნ. ჩიქობავა).

მიუხედავად იმისა, რომ ნასახელარ ზმნათა შესახებ არაერთი კვლევა არსებობს, საკითხი შესწავლილია ცალკეული მწერლისა თუ ეპოქის მიხედვით, **ერთიანობაში - დიაქრონიული და სინქრონული ასპექტით შეუსწავლელია.** ბევრი ნიუანსი ჯერაც დასაზუსტებელია და დამატებით კვლევას მოითხოვს - შესასწავლია ბოლო პერიოდში მომრავლებული უცხოური წარმოშობის ნასახელარი ზმნები; ნასახელარ ზმნათა მოდელები თანამედროვე სალიტერატურო ქართულში; ჯერაც დასაზუსტებელია ნასახელარი ზმნების **-ნ//-ენ** და **დ** სუფიქსის მიმართება ერთმანეთთან...

კვლევითი პროექტის მიზანია, სხვადასხვა ეპოქის (ძველი, საშუალი, ახალი) სალიტერატურო ქართული ენის ძეგლთა, ასევე სასაუბრო ქართულისა და დიალექტების მონაცემების ერთმანეთთან შედარება-შეპირისპირებისა და ანალიზის საფუძველზე წარმოაჩინოს ნასახელარ ზმნათა წარმოებასა და სემანტიკაში მომხდარი ცვლილებები უძველესი დროიდან დღემდე; განსაკუთრებული შესწავლა სჭირდება თანამედროვე ენობრივ სიტუაციას, ჟარგონულ ნასახელარ ზმნათა წარმოებას. საბოლოოდ უნდა განზოგადდეს კვლევის შედეგები და გამოიკვეთოს, თუ რა ტენდეციები არსებობდა და როგორია ტენდენცია დღეს ამ კუთხით.

სწორედ ზემოთ აღნიშნული საკითხები განსაზღვრავს კვლევითი პროექტის **სიახლესა და აქტუალურობას.**

3.3. კვლევის მიზნები, ამოცანები და კვლევის მეთოდოლოგია

კვლევითი პროექტის **მიზანია**, შეისწავლოს ძველი, საშუალი და ახალი სალიტერატურო ქართული ენის ძეგლებში დადასტურებული ნასახელარი ზმნები, ასევე სასაუბრო ქართულისა და დიალექტების მონაცემები; შეადაროს ერთმანეთს და მოძიებული

ემპირიული მასალის ანალიზის საფუძველზე წარმოაჩინოს ნასახელარ ზმნათა წარმოებასა და სემანტიკაში მომხდარი ცვლილებები; განსაზღვროს განსხვავებული სტრუქტურული მოდელების სემანტიკური და სტილისტიკური ფუნქციები; კვლევის შედეგები განაზოგადოს და გამოკვეთოს რა ტენდეციები არსებობდა და რა ვითარებაა თანამედროვე სალიტერატურო ქართულში.

მეცნიერული ანალიზი ეფუძნება ლინგვისტური, შედარება-შეპირისპირებითი, სტრუქტურული და სტილისტიკური ანალიზის მეთოდებს.

სამეცნიერო ხელმძღვანელის ხელმოწერა

სამეცნიერო თანახელმძღვანელის ხელმოწერა

თარიღი 02.03.2026 წ.